

# მწყემსი

1883-1888

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

### გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი :

«მწყემსი»	«მწყემსი» რუსული გამოცემით
12 თთვით . . . . . 5 მან.	12 თთვით . . . . . 6 მან.
6 — . . . . . 3 —	6 — . . . . . 4 —


გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Конурисы, Въ редакцію „Мѣмесі“ (Пастырѣ).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავით, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყენენ ავტორთაგან ხელმოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს. სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

### რ ე ღ ა ქ ც ი ი ს ა ზ ა ნ .

ღღეს გადადექით სწორედ მეზვიდე წელიწადში, რაც ჩვენი ქართული გამოცემა დავიწყეთ და მეზუთე წელიწადში—რაც რუსული გამოცემა გამოდის. შვიდი წელიწადი დიდი დრო არ არის და ამისათვის, შეიძლება, ზოგიერთმა ჩვენი შვიდი წლის ამ საქმეზედ სამსახური დიდად არაფრად ჩააგდოს. მაგრამ, შვიდი წლის სამსახური სალიტერატურო ასპარეზზედ და ისიც ჩვენს ქვეყანაში, სადაც ნაცვლად შემწვობისა, დახმარებისა და თანაგრძნობისა, ზოგიერთები ხელს გიშლიან და გზაზედ გელობებიან, სწორედ დიდად ჩასაგდები და შესანიშნავია. ძნელად წარმოადგენს გამოუცდელი კაცი საზოგადოდ ყველა რედაქტორების და გამომცემლების (რასაკვირველია, ვისაც გულით და კეთილის აზრით საქმისათვის ხელი მოუკიდნია) უაჯაო შრომას და ღვაწლს და ჩვენსას განსაკუთრებით. შეითქვამს წინედ და კვლად ვიმეორებთ, რომ ჩვენ გამოცემათა საქმე სულ განსაკუთრებულ და განსხვავებულ მდგომარეობაშია ჩა-

ვარდნილი და ამისათვის განსაკუთრებულ და განსხვავებულ შრომასა და ღვაწლს ითხოვს. სხვა საერო წოდების გამოცემათა რედაქციებს ერთი განსაკუთრებული მიზანი აქვთ აღებული და ერთგვარი ხელის მომწერლები ჰყავსთ და ამისათვის შრომაც და ხარჯიც ერთნაირი მოსდისთ. პილეთ ეხლა სასულიერო რუსეთის ეპარქიალური გამოცემანი. უმეტეს ნაწილად მათში იბეჭდებიან მარტო სასულიერო მართებლობის განკარგულებანი და შესდგებიან მარტო ერთი ოფიციალური ნაწილისაგან. არიან, რასაკვირველია, ზოგიერთი ეპარქიალური გამოცემანი, რომლებშიაც ოფიციალური ნაწილის გარდა, არა ოფიციალური ნაწილიც არის, მაგრამ, სამუშაოდ, არა ოფიციალურ ნაწილშიდ მთელი წლის განმავლობაში ორ-სამ საინტერესო სტატიის და შენიშვნის გარდა ვერას ნახავთ. არ ეხმარება გაზეთის წარმატების საქმეს არც სახელმწიფო შემწეობა, არც ჩინებული ჯამაგირი, რომელიც ენიშნება რედაქტორს, არც ცირკულიარული მიწერილობა მღვდელთ-მთავრებისა, მიმართული სასწავლებლები მასწავლებელთა და მღვდელთადმი, რომელთაგან ითხოვება სალიტე-



რატურო ასპარეზზედ შრომა და სტატიების წერა (იხ. ამ 1888 წლის «Странникъ» ი მარტის თვისა). მკითხველების გემოვნების დაკმაყოფილებაზე ბევრს არაეინ შრომობს, ვინაიდან ჟურნალზედ ხელის-მომწერლები ნიადაგ ერთი და იგინივე არიან, რად-გან მათში ჟურნალის გამოწერაზე უარის თქმა არა-ვის შეუძლიან.

ჩვენ გამოცემათა საქმე კი სულ სხვაა. მართულ გამოცემასთან ჩვენ ვსცემთ რუსულ გამოცემასაც, რომლის შემოსავალი არასოდეს არ ფარავს გასავალს. მარტო ერთ სასულ იერო რუსულ გამოცემას არასოდეს არ შეუძლია საქართველოს საქსარხოსოს სამღვდე-ლოებაში იმდენი ხელის მომწერ-ლები შეიძინოს, რომ თავისი შემოსავლით რეგიანმა ჟურნალმა ან გაზეთმა ია ისე მოსახელმწიფო დახმარების მიუღებლად. რატომ? იმიტომ, რომ ნამეტანმანაწილმა ჩვენი სამღვდელოები-სამ რუსული ენა არ იცის. მაშ რაღათ დაარსეთ რუსული გამოცემა? გვეტყვის მკითხველი. არა მიმ-ხედველი სხვა-და-სხვა დახმარებლებელ მიზეზთა, ჩვენ მიუცილებელ საქიროდ დაეინახეთ რუსული გამო-ცემის დაარსება მართულ გამოცემასთან. იმას გარ-და რომ ყველა ოფიციალური განკარგულებანი სა-ვალდებულოა იმეჭდებოდენ რუსულ ენაზედ, ჩვენ სხვა-და-სხვა მოსაზრებებთაც ვხელმძღვანელობდით, როდესაც რუსული გამოცემა დავაარსეთ. მართად-ერთი რუსული ბეჭდითი სიტყვით შეგვიძლია შევატყობინოთ ჩვენ რუსეთის მაღალ სასულიერო მართებლობას და საზოგადოებას ჩვენი დაღბინება და გაჭირება, ჩვენი საქირობა და ჩვენი მდგომარეობა. მხოლოდ ერთი მიუდგომელი რუსული ბეჭდითი სიტყვით შეგვიძლია გამოვიწვიოთ დახმარება და ყურადღება მართებლო-ბისა და რუსეთის საზოგადოებისა. მართული გამო-ცემით შეგვიძლია ჩვენ გავაცნოთ რუსეთის ცხოვრე-ბას ჩვენი მკითხველები, მაგრამ რუსეთის საზოგა-დოებას არ შეუძლია ჩვენი ცხოვრება და მდგომა-რეობა შეიტყოს მარტო ქართული გამოცემის სა-შუალებით. ამათ გარდა ჩვენ კიდევ სულ სხვა მო-სარებანი გვქონდა სახეში რუსული გამოცემის და-არსების დროს. შევლამ კარგად იცის, რომ ჩვენი მშობლები არაფერს არ ზოგვენ, რომ რუსული ენა შესწავლონ თავიანთი შეილებს სასწავლებლებში. რო-დესაც ისინი სასწავლებლებიდან გამოდიან და სოფ-ლებში მიდიან, დიდის დავიდარაბით შესწავლილი რუსული ენა რამდენიმე წლის შემდეგ სრულებით აკრწლებათ. ჩვენი რუსული გამოცემა მათთვის, სწო-

რედ უნდა ესთქვათ, თვით-მასწავლებელია, რომლის საშუალებით ზოგი მათგანი დაეწყებულს სიტყვებს ინსომებს და ზოგი კი ჩინებულად ვითარდება თარ-გმანის საშუალებით რუსული ენის სწავლებაში, მით ნამეტურ რომ ყველა საინტერესო სტატიები და შე-ნიშვნები რუსულიდან ქართულად ითარგმნებიან და ქართულიდან რუსულად. თუმცა ცხადი იყო ჩვენ-თვის რუსული გამოცემის ხარჯი და პირველ წლებში ქართული გამოცემაც დიდ ხარჯს მოითხოვდა ჩვენგან და მოითხოვა კიდევ, მაგრამ ჩვენ მხად ვიყავით და დღესაც მხად ვართ არ დაეზოგოთ ჩვენი შეძლე-ბა ამისთანა საზოგადო სასარგებლო საქმისათვის.

პატარაობიდან მიუცილებელ ჩვეულებად გვექონ-და მიღებული დაწყება საქმისა მცირედგან და დიდზედ გადასვლა, ხელის მოკიდება საქმისა ენერგიულად და გულით. სხად დაკვირვებაც ცხოვრებამ, რომ ამ წესით კაცი უფრო მალე მიაღწევს თავის სურვილს, ვინემ მაშინ, როდესაც საქმეს იწყებს დიდიდან.

1883 წელში ჩვენ უწმიდესი და უმართებულესი სინოდის ნება დართვით და კურთხევით ქართული გამოცემა დაეწყეთ და ამით საზოგადოება, ასე ესთქვათ, ბევრად თუცოტად, მოვამზადეთ რუსული გამოცემისა-თვის. ვინაიდან მთელ საქართველოს საქსარხოსოში არ არსებობდა არავითარიმე ისეთი გამოცემა, რომლის საშუალებით შესაძლებელი ყოფილიყო სხვა-და-სხვა ოფი-ციალურ განკარგულებათა გამოცხადება სამღვდელო-ებაში, 1885 წელში უწმიდესი და უმართებუ-ლესი საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორამ ჩვე-ნი გამოცემის პირველი განყოფილება უქაზის დად-გენილობით მიიღო ოფიციალურ ორგანად და სამ-ღვდელოებას ნება მისცა ეკკლესიის ფულით გამო-წერა ეს ორგანი. ამით ბევრმა ღარიბმა მღვდელმა ისარგებლა და შეიძლო ჟურნალის გამოწერა და კითხვა, მაგრამ მრავალნი თავიანთი ფულით იწერენ ეკ. სილარებისა გამო; მრავალნი კი ვერ იწერენ როგორც თავიანთი ისე ეკკლესიების სილარებისა გამო და დაუ-ღვერობის მიზეზითაც. მაგრამ სასულ. წოდების გარდა, სასინარულოდ, ჩვენ შევიძინეთ მრავალნი ხელის-მომ-წერელნი საერო წოდებათაგან, და, ჩვენდა გასა-კვირველად, არა მარტო მართლ-მადიდებელნი, არა-მედ სხვა ქრისტიან აღმსარებელნიცა, როგორც ჩვენ ქვეყანაში, ისე სამხლვარ გარედ მცხოვრებნი.



სასულიერო მთავრობის, ეპარქიის მღვდელ-მთავრების და საზოგადოების ამისთანა თანაგრძობაში ჩვენ მოგვცა ღონე და საშუალება ჩვენი მიზნის მტკიცედ და ვრცლად აღსრულებისათვის. იმას გარდა რომ სასულიერო მთავრობის განკარგულებათა ეაცხადებთ სასულიერო წოდებაში რუსულსა და ქართულს ენაზე როგორც ყურნალში ბეჭედით, ისე ცალკე, ჩვენ გამოვეცით სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის სხვა-და-სხვა წიგნაკები და გავავრცელეთ ხალხში არა ნაკლებ ოც-და-ათი ათასი ცალისა, ღვთისმშობლის სახელობაზედ სიონის საკრებულო ტაძართან არსებული «ქმობისაგან» შედგენილ 25000 წიგნაკების გარდა.

ამას გარდა ჩვენ განზრახვა გვქონდა და გვაქვს გამოვცეთ ცალკე წიგნაკებად ჩვენი შესანიშნავი მონასტრების და ტაძრების და საქართველოს ეკლესიის წმიდანების ცხოვრების აღწერილობანი (მცხეთის სობორს და წმინდა ნინას ცხოვრების, ზელათას მონასტრის და ღვით აღმაშენებლის ცხოვრებისა, მოწამეთის მონასტრის და წმიდათა მოწამეთა ღვით და ძონსტანტინეს ცხოვრების აღწერილობანი უკვე გამოვეცით, როგორც რუსულს ისე ქართულს ენაზედ სურათებით თითოეული მათგანი 1500 ცალი).

ჩვენდა საუფეშოდ, ამ ჩვენიანების თანაგრძობას დაემატა ზნეობრივი და განათლებული დახმარება მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის, არქიეპისკოპოსის პალაატისა ხალხისაგან ქათალიკოსად წოდებულისა, რომლის განათლებულმა თანაგრძობამ ჩვენში გააორკვეცა ენერგია და გაგვამხნევა მომავალი შრომისათვის.


მართლ-კახეთის სამღვ. უკანასკნელ ეპარ. კრებაზე მთელი კრების დეპუტატებმა ითხოვეს, რომ რედაქცია ჩვენი ყურნალისა გადაგვეტანა თბილისში, რომელიც საქსარხოსოს შუა გულ ადგილად და საქართველოს სატახტო ქალაქად იწოდება. სრული და მდებარეობა: 1) მის მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის, არქიეპისკოპოსის პალაატის განათლებულ დახმარებაზე, ეპარქიის მღვდელთ-მთავრების და სამღვდელოების დახმარებაზე და თანაგრძობაზე და საზოგადოების ამისთანა სასიამოვნო ყურადღებაზე, ჩვენ მომავალი წლიდამ გადაგვაქვს რედაქცია ქ. თბილისში. მართი მცირე დაბიდგან თუ ექვსის წლის განმავლობაში ამისთანა საძნელო საქმე ვაწარმოვეთ და ამდენი სასარგებლო და ადვილად

გასაგები წიგნაკები გამოვეცით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თბილისიდან ქალაქის საზოგადოების დახმარებით უფრო შეგვიძლებოდა მძიმე ტვირთი და უადვილესად მივახწვეთ ჩვენს მიზანს და დაეკმაყოფილებოდა მკითხველთა საზოგადოების მოთხოვნებს და სურვილს.

ამასთან ჩვენ ზნეობით მოვალეობათ ვრაცხათ გულითადი მადლობა გამოუტყდათ როგორც ჩვენს ნიადაგ თანამშრომელთა ი. თ. სანებლიძეს, მ. ბ. ლამბაშიძეს, დეკ. ნ. ძალლისტოვს, ისე შემთხვევით თანამშრომლებს: ბბ. ბ. საძაგელოვს, მ. ილურიძეს და სხვათა, რომელნიც თავის თანამდებობის სინიღისა-ნად აღსრულების გარდა ყოველთვის შოულობენ თავისუფალ დროს სალიტერატურო ასპარეზზედ შრომისა და მოღვაწეობისათვის. ამასთან გულითად მადლობას ვსწირავთ ჩვენ თანამოძმეთა ბლალორჩინთა: სამსონ ანჯაფარიძეს, იოანე აბაშიძეს, იელიანე აბესაძეს, ბიორგი ბერიძეს, სიმონ ბენაეცს, თ. ბოშუას, ალექსი ბეორგობიანს, ზ. ბეღლიეცს, ბ. ბამბაროვს, ალ. ზულისოვს, ნ. ბელაძეს, ბრ. ღვიდოვს, ზ. ჯიოეცს, სიმონ მლიაეცს, მრ. ვეფხვაძეს, ა. კეკელიას, დ. ძალატოვს, ნ. ძალანდარიშვილს, მრ. ძანდელაქს, მქრ. ძაჭახიძეს, იოანე მრეველოვს, მ. მაქარაძეს, მ. მეუნარგიას, მ. მკედლიძეს, მ. ნახუილოვს, დ. სირბილაძეს, მ. სნირტლაძეს, მ. შუკოვს (ტერსკის სამე.), ს. შიფშიძეს, ა. შარაბიძეს, ი. ჭიეიშვილს, ალ. ჭიჭინაძეს, ლ. ჭიპაშვილს, თ. ხოშტარიას, ბ. ხუნუნის, ი. ჩხენკელს, ი. წერეთელს და არისტარქ თეოხარს იმ გულითადი თანაგრძობისათვის, რომელსაც ისინი ჩვენ ნიადაგ გვიცხადებდნ და გვიცხადებენ.

მადლობას ვსწირავთ აგრეთვე ყველა საერო წოდების პირთა, ჩვენს ყურნალზე ხელის მომწერთა, რომელთაც ჩვენ მოგვცეს ნივთიერი შემწეობა ჩვენი მძიმე ტვირთის შესამსუბუქებლად. სრული იმედი გვაქვს მათი ზნეობრივი თანაგრძობისა შემდეგ დროებშიაც. დაწერილებით პირობანი ყურნალ-გაზნთზე ხელის-მოწერისა იხილეთ განცხადებაში.

დეკ. დავ. ღამბაშიძე.



მღვდლის სამსახურისადმი მოწოდებაჲ.\*)

რამდენათაც უნდა შეისწავლოს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლემ საღმრთო-მეტყველო მეცნიერების სხვა-და-სხვა ნაწილები, — ცხოვრებაში პრაქტიკულად მათი გამოყენება მისთვის ყოველთვის ფრიად საძნელო დარჩება. ცოდნის საქმეში გამოყენება ძლიერ ძნელი მოსახერხებელია და ამ ხერხის შეძენა შეიძლება მხოლოდ ბევრით დაკვირვებით და გამოცდილებით. სკოლა, რამდენათაც განვითარებული უნდა იყოს იგი, მასში მეცნიერებათა შესწავლა ყოველთვის მხოლოდ პირველი მოსამზადებელი ნაბიჯია პრაქტიკულის ცხოვრებისათვის. იგივე ითქმება არა მარტო ღვთისმეტყველებაზედ, არამედ ყველა სხვა მეცნიერებაზედაც. მქიმი, ინჟინერი, არქიტექტორი, მიწის მუშა და სხვა, — სანამ პრაქტიკულად არ გამოიცდებიან, — საქმეს ყოყმანობით, შიშით და კრძალვით ეკიდებიან და ძლიერ ხშირად ვარდებიან დიდს და მცირე შეცთომებში. ახალგაზდა მღვდელი, რა ზედმიწევნითაც უნდა იცოდეს მან ქადაგების კანონები, სანამ გამოცდილებით არ შეეჩვევა ის მსმენელთა ნამდვილ საქმროებაზედ გულ-მხურვალე და სრულის რწმენით ლაპარაკს, სანამ ის არ დახელოვნდება მხურვალე და გრძობით სავსე სიტყვების წარმოთქმაში, — ვერასოდეს ვერ მოახდენს ჯეროვანს შთაბეჭდილებას მსმენელებზე და მასი სიტყვა ყოველთვის დაემგზავნება «რეალს, რომელი ოხიან, გინა წინწილს, რომელი ხმობედ», როგორც იტყვის მოციქული პავლე (1 კორ. 13, 1). მღვდელმა, რაც უნდა მშვენიერად შეისწავლოს წირვალოცვის ტიბიკონი, მაინც მუდამ იკოჭლებს თავის მღვდელ-მოქმედების აღსრულებაში, სანამ პრაქტიკულად არ გაიწრთნება და არ გაეარჯიშდება ყველა ამ გვარ საქმეებში. მსვეე ითქმის სხვა სკოლებზედაც საღმრთისმეტყველო მეცნიერებისა. ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ სასულიერო სასწავლებლებში ჯეროვანი ყურადღება ექნეს მიქცეული საღმრთისმეტყველო მეცნიერების პრაქტიკულად გამოყენებას და მოხმარებას.

მღვდელი არ უნდა იყოს უმეცარი სხვა საზოგადო განმანათლებელ საქმეცნიერო საგნებშიაც. იქას ხშირად შეხედება ყოფნა განათლებულ საზოგადოებაში და ოჟ იქ მან გამოიჩინა უმეცრება, ამით ძლიერ დამცირდება იმ საზოგადოების თვალში, — საერო წოდების კაცები ზიზღით დაუწყებენ მას ყურებას და ეს ზიზღი მღვდლებისადმი, რასაკვირველია, ძლიერ დაუსუსტებს მათ სარწმუნოებრივს გრძობას. ბარდა ამისა ერთ დროს აქეთ ზოგიერთ მეცნიერებათა მტრულად და ეჭვით დაუწყეს ცქერა ქრისტიანულს სარწმუნოებას. თუმცა მრავალი აზრები და შეხედულებანი, გამოგონილნი ამა ქვეყნის ბრძენთაგან, თავის თავადვე მალე ირღვევიან და მტყუნდებიან თავის სიყალბისა და სიცრუისა გამო, — მაგრამ მათ ნაცვლად საჩქაროდ აღგენენ და იგონებენ ხელ-მეორეთ ახალ-ახალ აზრებს და შეხედულებათა და აწოდებენ უბედურს გონებას კაცისას, ვითომც და უკანასკნელს სიტყვას მეცნიერებისას, — და მართლაც ბევრნი მათ იღებენ, როგორც უტყუარს და ნამდვილს ჭეშმარიტებას. მღვდელს უნდა შეეძლოს ამ ცრუ აზრების გამტყუნება და გაბათილება, — რასაც ისინი, რასაკვირველია, ვერ შესძლებენ, თუ მათ კარგად არ ეცოდინებათ საერო მეცნიერებანიც, ამ ნაირად სავლდელია პირთა მოსამზადებელ მეცნიერებათა პროგრამაში უნდა ადგილი მიეცეს საზოგადო და საერო მეცნიერებათაც. საყოველთაო და სამშობლო ისტორიას, სამშობლო და უცხო ენის ლიტერატურას, გეოგრაფიას, მათემატიკას, ფილოსოფიას, ბუნების მეცნიერებათა, და უცხოელთა ენებს, განსაკუთრებით ბერძნულს ენას, რომელზედაც დაწერილი არიან დედანნი ახალი აღთქმის საღმრთო წერილისა და თხზულებანი ეკკლესიის დღათა მოძღვრთა და აგრეთვე ლათინურს ენას, რომელზედაც აგრეთვე სწერდენ მრავალნი წმიდანი მამანი.

თუ მომზადებითი სამეცნიერო განათლება საჭიროა მღვდლისათვის, მით უმეტეს საჭიროა მისთვის სასულიერო — ზნობრივი აღზრდა. ტყუილა არ უთქვამს იესო ქრისტეს მოციქულებისათვის: «თქვენ ხართ მარილნი ქვეყნისანი»; ამასთანავე დაუმატებია:

\*) იხ. «მწკმსი»-ს № 20.



«უკეთუ მარილი იგი განქარდეს, რაითამე დაიშარი-  
 ლოს? არღარა შემძლებელ არიან მერმე, არამედ გან-  
 გდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ» (მათ. 5,  
 13); ესე იგი თუ მღვდელი, რომელიც მოწოდებულია  
 თესვად ქრისტიანულ ქველ-მოქმედებათა და კეთილ  
 საქმეთა სამწყსოში, — მოკლებული იქმნება თვითონ  
 ამ ქველ-მოქმედებათა და კეთილ საქმეთა, მაშინ ის  
 აღმოჩნდება უფარგისად და უნიჭოდ სამღვდლო სამ-  
 სახურში. ნაცვლად თავისი სამწყსოს ცხოვნებისა და  
 განწმენისა, ის დასთეს მათ შორის ყოველგვარს სი-  
 ბილწეს და სიბინძურეს მცენიერებისას და როგორც  
 მტაცებელი მგელი, «წარიტაცნის და განიბნინის  
 ცხოვარნი» (იოან. 16, 12). ამაოდ ეცდება ის და-  
 ფაროს თავისი საჩილარი საქმეები, ტყუილად მო-  
 ანდომებს ის პირმოთენიებას კაცთა წინაშე; ბორო-  
 ტება არ დაიშლება. სიტყვანი იესო ქრისტესი: «არა  
 არს დაფარული, რომელი არა გამოსცხადნეს»  
 (მათ. 10, 26), აქაც შეგვიძლია მაგალითად წარ-  
 მოვიდგინოთ მთელი მათის საკვირველის ძალით.

სულიერ — ზნეობრივი თვისებანი, რომელნიც  
 უნდა შეემკობდნენ მღვდელს, უზენაესად კი არ მო-  
 ეგონებოდნენ მას, უეცრად კი არ ჩნდებიან მასში,  
 არამედ მოიპოვებიან ხანგრძლივის ვარჯიშითა და  
 ბრძოლით იმ განსაცდელებთან, რომლებიც ეწვევიან  
 კაცს მისის ჭკუისაგან და ხორცისაგან, ქვეყნისა და  
 ეწმუკისაგან. მოციქული პავლე ამბობს: «ბრძოლა  
 ჩვენი არს სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი  
 არიან ცისა ქვეშე» (ეფ. 6, 12). მაშასადამე თუ  
 მღვდელს სურს აღვიდეს ამ ზნეობრივ სიმაღლემდის,  
 მისთვის საჭიროა თავიდანვე მიიღოს მომზადებითი  
 სასულიერო ზნეობითი აღზრდა. ამ ზნეობრივ სუ-  
 ლიერს აღზრდას შეადგენენ ერთის მხრით სავარჯი-  
 შონი, რომელთაც შეუძლიან გააღვიძონ მასში კე-  
 თილ-მსახურება, შიში და სიყვარული ღვთისა, სიყ-  
 ვარული ეკლესიის სამსახურისადმი, ქრისტიანული  
 სიყვარული და მოყვებისადმი და სხვა სათნოებანი;  
 მეორე მხრით: განრინება ყოველთა, რაც კი ჰუნ-  
 ტავს და აშორებს მის გულს ამა სათნოებათაგან. ამი-  
 ტომ ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი სასულიერო  
 სასწავლებელთა არის — ისეთი მოწყობა მოსწავლეთა  
 ცხოვრებისა, რომელიც ავიწროებენ და განამტკიცე-  
 ბენ სულიერ-ზნეობრივ თვისებათა მათში და ამას-

თანავე იცავენ მათ ყოველ განსაცდელთაგან, რომ-  
 მელთაც შეუძლიათ დაასუსტონ ესრეთი თვისებანი.  
 საშუალებანი, რომელნიც იხმარებიან განსამტკიცებ-  
 ლად კეთილ-ზნეობრივ თვისებათა, — არიან: ლოცვე-  
 ბი, გულითადი მონაწილეობა წირვა-ლოცვაში,  
 სინანულის ზიარების საიდუმლონი, ჯეროვანი მარ-  
 ხულობა, საღმრთო წერილის კითხვა და სხვა სული-  
 ერად-აღმაშენებლის წიგნების და მტკიცედ აღსრუ-  
 ლება სასწავლებლების წესდებულებისა. ღილითა და  
 სულამოთი შევირდებმა უთუოდ უნდა ილოცონ. ეს  
 ლოცვები უნდა წარმოითქმებოდნენ გარკვევით, გრძო-  
 ბით და ლოცვებს რომ გაათავებენ, კარგი იქნება, თუ  
 თითოეული მოსწავლე დაუიქრდება თავის-თავად დი-  
 ლას ამ კითხვებზე: «რა უნდა გავაკეთო მე დღეს  
 თავის სულიერად წარმატებისათვის? საღამოს მეორე  
 კითხვებზე: «როგორ გავატარე მე დღე ესე?» გარ-  
 და ამისა ყოველი მოქმედება, რაც უნდა იყოს, გა-  
 კეთება, ჰამა გინა სხვა რამე საქმე, — უნდა იწყე-  
 ბოდეს და თავდებოდეს ლოცვით, როგორც გვასწავლის  
 პავლე მოციქული: «გინა თუ სჭამდეთ, გინა თუ სუმი-  
 დეთ, გინა თუ რასაცა იქმოდეთ, ყოველსავე საიდუმ-  
 ლად ღმრთისა იქმოდეთ» (კ. 10, 31). შევირდები უსა-  
 თუოდ უნდა დაესწონენ წირვა-ლოცვას ყოველ კვირა-  
 უქმე დღეებში და მიიღონ მონაწილეობა ეკლესიურ  
 გალობაში და კითხვაში. ღანიშნული მკითხველად  
 ეკლესიაში უნდა კითხულობდეს აუჩქარებლად, გარ-  
 კვევით და იმდენად ხმამაღლა, რომ მლოცველთა  
 ადგილად შეეძლოს გათავება და გაგება საკითხვისა.  
 ბაღობა უნდა იყოს ღმობიერი და თან ისეთი, რომ  
 დამსწრეთ შეეძლოს გაგება საგალობლის აზრისა. რაღა  
 თქმა უნდა, რომ შევირდები ყოველთვის წესიერად,  
 კრძალვით და მართებულად უნდა იდგნენ წირვა-  
 ლოცვაში. სიზარმაცე, უმართებულოდ თავის დაქე-  
 რა ლოცვის დროს, უმიზეზოდ წირვა-ლოცვის გან-  
 ტყეება შევირდეს უნდა ჩათვალოს ნიშნად მისი უფარ-  
 გისობისა სამღვდლო მოწოდებისათვის და უპირვე-  
 ლეს დაბრკოლებად მის მღვდლად ხელ-დასხმაში.  
 საიდუმლონი სინანულისა და ზიარებისა, რომელთა  
 აღსრულების დროს კაცმა უნდა ჩაიხედოს თავის  
 გულისა და სინიდიის სრულ სიღრმეში, რომლე-  
 ბითაც იგი განიწმინდების ცოდვითაგან და მიიღებს  
 უხვსა მადლსა ღვთისას, შეადგენენ მეტად დიდს სა-

შუალეხას სულიერ ზნეობრივის აღზრდისას. ჩვენის აზრით სასულიერო სასწავლებლების შევირდნი უნდა იტყოდნენ აღსარებას და ეზიარებოდნენ ოთხჯერ წელიწადში; (სახელდობრ სასწავლებლო წლის დამდეგს, ქრისტეს შობის წინ, დიდ-მარხვაში და სულისწმინდის მოსვლის წინ დღეს. მარხვა არის სულიერად—ჰიგიენური საშუალება, დაწესებული წმიდა ეკლესიისაგან, რომლის დადგენილობათა უნდა ყოველი ქრისტიანი და უმეტეს ყოველივე მღვდელი უსათუოდ ემორჩილებოდეს. ამისათვის სასულიერო სასწავლებლების შვირდები უნდა მტკიცედ ასრულებდნენ ეკლესიოდგან დადგენილს მარხვებს და მხოლოდ მაშინ შეიძლება განთავისუფლება მარხულობისაგან, თუ რომ ავთ-მყოფობა ან სხვა რაიმე საბატო მიზეზი აღმოჩნდება და ეს მიზეზები შემოწმებული იქნებიან სასწავლებლის მთავრობის, მოძღვარისა და ეკიმისაგან. საღმრთო წერილის კითხვა და სხვა სულიერად აღმაშენებელი წიგნებისა განამტკიცებს კაცის სარწმუნოებას, გაცოცხლებს და აღამაღლებს მის სახელს, წააქვზებს სათნო ცხოვრებისადმი; ამისათვის სასულიერო სასწავლებლის შევირდები, სხვა საქმეებს როცა მორჩებიან, უნდა ხალისად და ბეჯითად ეჩვეოდნენ ესრეთს კითხვას.

სამეფო მატარებელი.

ხარკოვს ახლო

(17 ოქტომბრის უბედურება).

«Прав. Вѣст.»-ში დაბეჭდილია ამბავი იმპერატორის მოგზაურობისა და იმ უბედურებისა, რომელიც მოხდა 17 ოქტომბერს ხარკოვს ახლო, ბორკასა და ტარანოვკას სადგურს შუა:

აი კვლავ გაფრიალდა დროშა გემზე ბათუმის ნავთ-სადგურში. ზემი ახსნეს და იმპერატორი თავისი უავეუსტოვის სახლობითა და ამალით წაბრძან-

და ჩრდილოეთისაკენ. ძავეასიაში ყოფნა და მოგზაურობა მათ უდიდებულესობათა სწორედ ზღაპარსა და ოცნებასა ჰგვანდა. იჭაურმა სხვა-და-სხვა ერმა დიდის აღტაცებით მიიღო თავისი მეფე-ბატონი. ქველანი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომ მეტის გულკეთილობითა და გულ-უხეობით დაეხდეთ დადებულს სტუმარსაო. რა არა ჰნახეს უავეუსტოვისა სტუმრებმა იმ საკვირველს ქვეყანაში: თვით მკვიდრნი და მათი სხვა-და-სხვა გვარი შეხედულობა, საინტერესო ტაყები, ლამაზი და მოხდენილი ტანთ-ჩაცმულობა, ძლიერ-ვა-მოხილი კავკასიის მხედრობა, ბუნებრივ მთანი, კლდენი, ზღვანი, უღაბნოს მსგავსი მანღარანი, ცხრათვალა მზე სამხრეთისა, მოწმენდილი ცა, დაუნის ქალები, ნავთის შადრენები, მთის მღინარენი, მხარულნი სახენი მკვიდროა, გრძობათ წარმოტყუენი სიტყვანი—ყოველივე ეს ჰნახეს და დადა, დადა ისიამოვნეს ამ მხით გაბრწყინვალეებულს ქვეყანაში, რომელსა დიდი მერმისი მოელის, რომელთა ძვირუასი აღმასია რუსეთის სამეფო გვირგვინისა.

...მაგრამ ვაი, რომ ამ სიამოვნებას, ამ მხარულეხას მოჰყვა საშინელი უბედურება და მხოლოდ მღვთის განგებამ გადაარჩინა მეფე და უავეუსტოვის მისი სახლობა. როცა გემი მივიდა სევასტოპოლში და პატარა ხანს უკან მხლებელნი და წვერნი ამალიანნი უკვე ჩახსდნენ ვაგონებში, ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა: ახლა კი მოგზაობით ზღვის ღელვასა და მშვილობით ვიმოგზავრებთ ხმელეთზედაო, მაგრამ ღმერთმან სხვაფრთვ ჰსაჯა. 17 ოქტომბერს, შუა დღისას, სამეფო მატარებელი დიდის სისწრაფით მიდიოდა. ანგარიშით, საათში სამოც ვერსის მანძილს გაივლიდა. ამ დროს მატარებელი იყო ბორკისა და კარანოვკას სადგურს შუა და ღრმა ხეცს უნდა გადასულიყო. იმპერატორის სახლგულობა და იმისნი ახლო მხლებელნი სასადილო ვაგონში ბრძანდებოდნენ და ისინი იყო საუზმეს ათავებდნენ. უცებ საშინელი ჯახანი გახდა, მერე მეორე, მესამე... სასადილო ვაგონს კაცი ვეღარ იცნობდა, ისე მოიგრიხა და დაიმხსვრა. მღვლები ღერძებიანათ შორს გადისროლდა; კედლები დაილეწა და ნაჭერ-ნაჭერად იქცა. სახურავი მოიგრი-



ხა, მარცხნივ გადისნიქა და დაემხო ზემოდამ ვაგონის ნამტვრევებს. აი სწორედ ამსახურავ ქვეშ მოჰყვა იმპერატორის სახლობა: მეფე, დედოფალი და უაფგუსტოესნი მათნი ძენი.

იმავე ვაგონში ბუფეტი იყო გამართული. აქ მოკვდა ვაგონში მოსამახურე; საჩუკე და აფეჯა დაიმსხვრა და დაიღეწა. ის ვაგონი, რომელშიაც იყო დიდი მთავრინა მღვთა პლექსანდრეს ასული, მოტრიალდა გარდი-გარდმო. წინა კედელი მოჰკლიჯა და აქედამ გადისროლა დადი მთავრინა ფერდობზედ. სასადილო ვაგონიდან გადისროლა ფერდობზედ აგრეთვე დიდი მთავარი მხეილ პლექსანდრეს ძე და თავადი მბოლენსკი. სულ მცირე-წლოვანნი უაფგუსტოესნი ძენიც ფერდობზე გადასტყაოცნა, მაგრამ არაფერი სტკენიათ და სწუხდნენ მხოლოდ, რომ უაფგუსტოესი მათი დედა იმ დროს გვერდით არა ჰყვანდათ.

ზნათა მინისტრის ვაგონი მოხსლტდა პირველად რელსებს და ისე დაიმსხვრა, რომ წვრილს ნატყების მეტი არა დარჩენილა-რა ვაგონები ინერციის ძალით გაქანებულნი მიჰქროდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ, იმახრებოდნენ და მათი ნამსხვრევი აქეთ-იქით იფანტებოდნენ ფერდობზედ. ღაუმტვრეველი გადარჩა მხოლოდ სამი წინა და სამი უკანა ვაგონი. საშინელი სანახაფი იყო ეს ამოდენა დამსხვრეული ვაგონები და დაჭრილნი და დახოცილნი, რომელნიც მწარედა ჰყენესოდნენ. ჰქროდა ცაფი ქარი, მოდიოდა წვიმა და საშინელი ძანძახი იყო.

ხელმწიფე იმპერატორმა მადლობა შესწირა ღმერთს თავისის სახლობის ასეთის სასწაულით გადარჩენისათვის და მერე თვით თავისის ფეხით დაათვალიერა ის საუბედურო ადგილი. სამეფო ჯარა-ეკიმს უბრძანა დაუყოვნებლივ შემწეობა აღმოუჩინე დაჭრილთა და დაშავებულთაო. დაიწყეს ახლა ძებნა დახოცილთა და დაჭრილთა. ზოგიერთს კაცი ველარ იცნობდა, ისე იყვნენ დამახინჯებულნი. დახოცილთა შორის საჩქაროდ იპოვეს ექმის თანამემწე ჩეკუეერი, ფელდ-ეგერი და შტაბს-კაპიტანი ბრეში. სულ დაი-

ხოცა 21 კაცი და 37 სუბუქად და მძიმეც დაჰკრა. მრთი ამ დაჭრილთაგანი მალე გარდაიცვალა. მდნავ დაშვებულთა და ნატყენტთა ყურადღება არ მიაქციეს თავის ნატყენობას და ზემოხსენებულს სიაშა არ იქმნენ ჩათვლილნი. ბევრს სისხლი გადმოსდიოდა გაკაწრულისა და ნატყენის ადგილიდან. ხელმწიფე იმპერატორი, თუმცა ფეხი იტყინა, მხნედ დადიოდა ყველგან იმ ტალახში და წვიმაში და ანუგეშებდა ალერსიანის სიტყვებით. ხელმწიფე იმპერატორიცა ყურადღებას არ აქცევდა თავის ნატყენს ხელს და სცდილობდა შემწეობა მიეცა უფრო ძრაველ დაჭრილთათვის.

ამალის წევრთაგან უფრო დაშვებულთა ფლოგელადიუტანტი შერემეტიევი. ბული აქეს უფრო ნატყენი და ერთი თითი მოგლეჯილია. შრეალინა გრაფინია მარია გოლენიშჩევა-ძუტუხოვისას ჯერ ვერ შეეშინა, რომ ფეხი ჰქონდა ნატყენი, მაგრამ მალე იგრძნო ტყივილი და, მეტი ღონე არ იყო, უნდა დაწოლილიყო დაჭრილთა ვაგონში. ნატყენობა აღმოაჩნდათ აგრეთვე სამეფო კარის მანისტრს გრაფს შორონცოვ-დაშკოვს, სამხედრო-გენერალადიუტანტს მანოვსკის, ანილოვიჩის, რიხტერს, და რეინს. ძალან არის დაშვებულნი ბარონ შერნვალის, რომელიც საკაცეთი გადიტანეს სანიტარულს ვაგონში.

გახ. «НОВ. ВР.»-ში ბ-ნს პეტერბურგელს მოყვანილი აქეს თავისი ბაასი სასახლის მხატვარ მ. ა. ზიჩისთან, იმ ზიჩისთან, რომელმაც ჩვენის უკვდავის «მეფის ტყაონის» ძვირფასის გამოცემისათვის სურათები დაჭაბა და რომელიც 17 ოქტომბრის უბედურობის დროს იმავე ვაგონში ყოფილა, რომელშიაც საუზმეს მიირთმევედა ხელმწიფე იმპერატორი თავისის ოჯახითა და მახლობლებითთურთ.

სასადილო ვაგონის წინა ნაწილია, — უთქვამს ზიჩის: — ეჭირა ბუფეტს, ბოლოზედ გამართული იყო საუზმეს მოსამზადებელი გაყოფილება ბუფეტისავე. იმით სასადილო ვაგონის შუა დიდი სტოლი იდგა, მილურსმული ვაგონის იატაკსა და კედლებზედ.

მოგვყავს დაწერილებით, თუ ვინ როგორა მჯდარა საუზმის დროს; მარცხნივ მხარეს პირველი ადგი-

ლი ბუფეტისაკენ სტოლის სიგრძეზედ ეჭირა ფლიგელ-ადიუტანტს შერემენტიევს, იმის გვერდზედ იჯდა გენერალ-ადიუტანტი ზინოვიევი, სტატს-დამა შერემენტიევისა, ხელმწიფე იმპერატორი, ფრეილინა გრაფინია ძუტუხოვისა, გენერალ-ადიუტანტი რიხტერი, დიდი მთავარი ბიორგი პლექსანდრეს ძე და ლეიბ-აკუმორი ბირში; მარჯენიე ბუფეტისაკენ პირველს ადგილზედ, ფლიგელ-ადიუტანტის შერემენტიევის პირდაპირ, იჯდა მხატვარი ზიხი, შემდეგ ფრეილინა გრაფინია ძუტუხოვისა, მემკვიდრე პრინცი, გენერალ-ადიუტანტი პოსიეტი, ხელმწიფე იმპერატრიცა, გრაფი მოროცოვ და შკოვი, გენერალ-ადიუტანტი მარტინოვი, დიდი მთავრინა მსენია პლექსანდრეს ასული და, სულ ბოლოზედ, ბირშის პირდაპირ, გენერალ-ადიუტანტი ჩერეენი.

ის იყო ქაში მოგვიტანესო, — განაგრძო თურმე თავისი მოთხრობა მ. ა. ზიხიმ — დაეინახე, რომ მსახური, რომელიც ჩემ მხრივ დასტრიალებდა სუფრას, ჩემსკენ წამოვიდა საქმლით, ერთბაშად წინ წამოვიდა, ქაშის ჭურჭელი წამოიღო, ევლარ შეიმავრა და ცხელი საქმელი მხრებსა და მუხლებზედ გადმომასხა. ზონზედ არ ვიყავი ჯერ მოსული, რომ სამი საშინელი ჯახუნი მომესმა: პირველს ჯახუნზედ ჯეწიდან იატაკი გამოგვეცალა, მეორეზედ — ვაგონმა მარცხნიდან მარჯენიე პირი იბრუნა და გარდიგარდმო დასდგა ლიანდაგზედ — ვაგონის ჭერი დაგვეცა, ზედ დაგვეხურა და ისე დაგვამწყვდია, თითქო სამარეში ვყოფილყავითო. ასეთმა მდგომარეობამ სულ რამდენსამე წამს გასტანა. იმისის წყალობით, რომ ვაგონის ჭერი თალივით იყო, ძალიან არ დაგეწოლია, მით უმეტეს, რომ ჭერი ირიბად დაგვეცა და არა პირდაპირ. ჩემს მხარეს ვაგონის კედელსა და ჭერს შუა ვასავლელი ადგილი იყო და იქილამ გამოვფოფხდი; ჩემს შემდეგ გამოვიდა ძუტუხოვისა, იმის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი. შევლანი სასწაულეზრიე გადაეჩრით განსაცდელს, თუმცა ზოგიერთი ჩვენგანნი დაწავებულნი და ნატყენნი არიან. ხელმწიფე იმპერატორს მარჯვენა ჯიბეში ვერცხლის სათამბაქოე ჰქონდა და ისე მავრად დასცემოდა ჭერი ვაგონისა, რომ სულ ერთიანად დაჰყვეოდა; გენერალ-ადიუტანტს ჩერეენს სარკის ნამსხვრევები მოჰხვდა მარცხენა ხელში და კისერში და დაიჭრა; აგრეთვე ნატყენნი არიან გენერალ-ადიუტანტები ზინოვიევი, პოსიეტი და მარტინოვი. მრთს ამათგანზე ისეთი

ზედმოქმედება იქონია ზემოხსენებულმა უბედურებამ, რომ თავისდა უნებურად, უგრძობლად ჩაიღო ვერცხლის კოეზი ჯიბეში და უფერად გადააფიწყდა სახელი თავისის მოკლულის მსახურისა. შევლაზედ მეტად დაშავებულია ფლიგელ-ადიუტანტი შერემენტიევი, რომელსაც მარცხენა ხელის თითები მოგლეჯილი აქვს და მკერდი დაჟეჟილი. მოსამსახურე ლაუტერი, რომელიც ხელმწიფეს ადგა თავზე და ემსახურებოდა პოდნოსით ხელში რყევამ ბუფეტში შეისროლა და იქვე სული განთხევენა. შევლანი, ვინც კი ბუფეტში იყო, ან დახოცილნი არიან და ან დამახინჯებულნი.

მე ძალიან ადვილად გადაეჩრით. როგორც ჰხედანთ, ესოლოდ რამდენსამე ალაგას ოდნავ მაქვს ხელი გაკაწრული, მაგრამ აქამდე კიდევ თვალ-წინ მიდგა ის უბედურება.

პი კიდევ ორიოდ ამბავი, ამავე გაზეთში დაბეჭდული: ბარონი შერნვალი, თავში დაჭრილი, ფერდოზე იჯდა, გამორცტიანებული იყო, ხმა-კრინტს ვერ რღებდა და მხოლოდ ხელგებს-ლა იქნედა. ამასთან მივიდა ხელმწიფე იმპერატრიცა, შემოიხსნა ბაშლული და თავი შეუხვია. დიდი მთავრინა მლგა პლექსანდრეს ასული (ექვსის წლისა) სასადილოს ვაგონის მომდევნო ვაგონში იჯდა. ეს ვაგონი სასადილო ვაგონს მოექცა წინ, თითქოს ერთი ვაგონი მეორეზედ გადაუსროლია ვისმეო. როცა მლგა პლექსანდრეს ასული განთავისუფლდა ვაგონიდან, გარედ გამოვიდა და ხელმწიფე იმპერატორი დაინახა, უთხრა: „მაშა, ნუ სწუხარ, მე არა მიჭირს-რა, არ დაეწევი, მაგრამ ამას იქით-კი აღარ წამოვალ“.


მთხივე მოსამსახურე, რომელიც ბუფეტში იყვნენ, და მომუშავენი, მუშათა ვაგონში მყოფნი, დახოცილები არიან. გზათა სამინისტრო ვაგონში, რომელიც სულ ნაჭერ-ნაჭერ არის ქცეული, იყვნენ ბარონი შერნვალი, გზის ინჟინერი კრონენბერგი და გამგე გზისა პოვანკო. ეს სამივენი რყევამ ვაგონის ერთის გამომტვრეულ ადგილიდან გამოჰქარა გარეთ. («ივერია»).

# კეკეა ადგილისა, სადაც 17 ოქტომბერს 1888 წ. კადმოვარდა რელსებიდგან საიმპერატორო მატარებელი.


შემოდგომის წყალდიდობისაგან შეგუბული ტბა.

ფეკდობი 11 საყენამდის.

7 ვაგ. ბ. ბა. სა მინისტრ.



7



ფეკდობი 11 საყენამდის.

8 სამზარეულო

მოგვეყვას რიგ-რიგობით ადწერილობა საიმპერატორო ვაგონთა, რომელნიც დამარცხდნენ 17 ოქტომბერს რეინის გზაზე მომხდარ განსაცდელის დროს.

- 1—2 ჰიჩკეკი მატარებელი სდგას რელსებზე და ხაფლულისა სილაში.
- 3—4. მეორე მატარებელი რელსებზედ გარჩენილა, მაგრამ მისი თვლები მოშორებულია რელსებს.
- 5. საბარგო მატარებელი მოსხლეტილია რელსებზე, რომლის ნაწილი უკანა დამსხვრეულია.

6. ბუფეტის და საშენკლა ვაგონი, სადაც სამეფო სამზარეულოს სსვა-და-სსვა მოწუბობილობა და ავეჯები ეწეო, თუმცა უითავერესად დაუსიანებელი დარჩა, მაგრამ მოტრალეებულია და გზაზე გაჭდი-გარდმო-სდგას. ერთი თავი ვაგონისა გადაწეულია ნაფარ მიწაზე, ვაგონის წინა კედელი მთლად დამსხვრეული. ამ ვაგონში ყოფილან ხელახსნები.

7. გზათა მინისტრის ვაგონი მთლად დამსხვრეულია. თვლები ვაგონის იატაკით მთლად მოშორებულია. მისი დაღეწილი კედლები იქით-იქეთ ჭურჩან ფერდობზე. ვაგონის ჭერი განის კედლების ნაგლეჯებით და მათზე მიჭედლილი დივნებით გადავადებულია რვა საყენზე.

8. სამზარეულო ვაგონისა გადაჩენილ მხოლოდ იატაკი და სიგძმის ერთი კედელი, იატაკზე მიჭედლილი სამზარეულო სტოლით; დანახენი ნაწილები ამ ვაგონისა იქვე ფერდობზე ჭურჩან.

9. მზარეულთა ვაგონი უფრო ძალიან აჩის დაზიანებული; ეს ვაგონი ავღია ფერდობზე. მისი სახურავი, კედლები და იატაკი ერთი ერთმანეთის მოშორებით ჭურჩან. ეტის ეგონება, ვაგონი თითქო განგებ დაუშლიათ. ამ ვაგონში ყოფილან მზარეულები.

10. მოსამსახურეთა ვაგონი მთლად დაღეწილია. მხოლოდ ზოგაერთი მასი ნამტკრეკები მოსჩანან მინისტრის ვაგონთან ფერდობზე.

11. მათ უდადებულესობათა სასადილო ვაგონი დაღეწილია; მას კაცი ველარ იცნობს. მისი სახურავის წინა ნაწილი მოგრესილია და მარცხნივ გადასწეულია; ვაგონის კედლები და იატაკი გადაჩენილან და ვაგონის მახლობლად ჭურჩან ერთი ერთმანეთს მოშორებით. მხოლოდ ვაგონის განის ერთი კედელი აჩ დამტრეულია. თვლები დერძებთან ალარა სჩანან.


12. სადიდმთავრო ვაგონს თვლები დერძებთანთ მოგლეჯილი აქვს, გარდი-გარდმო სძევს გზაზე. ერთი თავი გადაწეულია ფერდობისაკენ. განის კედლები მოგლეჯილია; ერთი მათგანი შიგ ვაგონშია შესული, ხოლო მეორე ვაგონის მახლობლად სძევს. ვაგონის ერთი ნაწილი სძევს დაღეწილ ვაგონების გროვასზე და ამიტომ შესამჩნევად აწეულია მაღლა, ხოლო მეორე თავი ვაგონისა ნაყარ მიწაშია ჩაფლული.

13. მათ უდიდებულესობათა ვაგონი. ეს ვაგონი შესდგება ორი განყოფილებისაგან. ერთი განყოფილება შეადგენს ხელმწიფე იმპერატორის კაბინეტს, ხოლო მეორე—იმპერატრიცისას. ეს ვაგონი ცოტათი დაზიანებული.

14. მემკვიდრე ტესარევიჩის ვაგონი ცოტათი აჩის დაზიანებული.

დანახენი სამი ვაგონი მემკვიდრე ტესარევიჩის ვაგონის შემდეგ მთლად დაუზიანებლად დარჩენ. ამ ვაგონებში ერთი აჩის მეფის სასახლის მინისტრისა და მეორე ამაღასი.

ამ სამეფო სასადილო ვაგონი, რომელშიაც ნაჩვენებია, თუ როგორის წესითაც იყვნენ დამსხვრანი.



- 1) ხელომწიფე, 2) სტატს-დამა შერეშეტიკვისა, 3) გენ. ადიუტანტი ზინოვიევი, 4) ფლიგელ-ადიუტანტი შერეშეტიკვი, 5) ფრეილინა გრაფინია გუტუსოვისა, 6) გენ.-ადიუტანტი რისტერი, 7) დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე, 8) კქში გირში, 9) იმპერატრიცა, 10) გზათა მინისტრი ჰოსიკიტი, 11) მემკვიდრე ტესარევიჩი, 12) ფრეილინა გრაფინია გუტუსოვისა, 13) მსტკარი ზიჩი, 14) გრაფი ორდონოვ-დაშკოვი, 15) გენ.-ადიუტანტი მარტინოვი, 16) დიდი მთავრისა კსენია ალექსანდრეს ასული 17) გენ.-ადიუტანტი ხერკინი.



# ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ მივიღეთ წიგნაკი «სანდალა». წავიკითხეთ კიდევ და დაგრწმუნდით, რომ რასაც სწერდენ ამ წიგნაკზე, სწორეთ საფუძვლიანად. ამბობენ ხოლმე: «ალექსანდრე მაკედონელი დიდი კაცი იყო, მაგრამ სკამებს რათ ამტვრევო». მართალია, ზოგიერთ ჩვენ პოეტებში და მწერლებში ისეთი კაცებიც ურევინან, რომელთა საქციელს გამოჩენილი ყაჩაღი ქიარიმაც კი არ იკადრებს, ისეთი «მამულის მოყვარენიც» ურევინან, რომელნიც მხალ არიან თავის მამული და ჰატრიტობა გროშზე გაჰყიდონ, ისეთი სიმართლის მქადაგებელნი და მწერალნიც ურევინან, რომელთა ენა მიჩვეულა საზიზღარ სიტყუებს და ცილისწამებას, ისეთი ფაქტობებიც ურევინან, რომელნიც მიწასთან გაგაწორებენ, თუ ნიადაგ მათ ლიტინზე და თხოვნაზე ფულს არ აძლევ, მაგრამ აქედამ არ შეიძლება ის დასკვნა გამოიყვანოს კაცმა, რომ ჩვენში არც წინეთ და არც დღეს პათიოსანი მწერლები, მქადაგებელნი და პოეტები არ ყოფილიყოს და არც იყვენ. წიგნის შინაარსიდან ცხადათა სჩანს, რომ «სანდალას» ავტორს კაცობრიობის და განსაკუთრებით ჩვენი ხალხის ისტორია მცირედ აქვს შესწავლილი. ჩვენ მხოლოდ ერთი გარემოება გვაკვირვებს. როგორ მომხდარა, რომ სანდალას ავტორისათვის დაარსებულა ბეჭდითი სიტყუას თავისუფლება, როდესაც სხვებს საღმრთო წერილიდამ მოყვანილი სიტყუების დაბეჭდვის ნებასაც არ აძლევენ!..

\* \*

ძვეკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორმა ამას წინეთ სთხოვა ამ საზოგადოებას სამსახურიდგან დათხოვნა. საზოგადოებამ შეიწყნარა ბ. ნიკიფოროვის თხოვნა და გაანთავისუფლა იგი სამსახურისაგან. მის ადგილზე კი დანიშნა ძიევის აკადემიაში კურს-შესრულებული მღვდელმონაზონი ლეონიდი (მქროპირიძე).

იმედია, რომ მამა ლეონიდი როგორც ახალგაზდა და განათლებული პირი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს საზოგადოების სკოლებს.

\* \*

ბლალოჩინის მღვდლის მამა ბ. ბერიძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«19-ს ამ ოქტომბრის თვეს, ღამით გასტეხეს ალავერდის წმ. ბიორგის ეკლესია, რომელიც მღვბარეობს სენაკის მაზრაში და ავაზაკთა გაიტანეს ეცხლის ბარძიმ-ფეშხუმი, ვარსკლავი, და კოვზი, ერთი ახალი ეცხლის სტოლის კოვზი, სამირონე ახალი ეცხლისა, ერთი რკინის გაზი, ლახვარი ახალი ეცხლისა, ტარიანი, ხუთი მანეთი ფული და ერთი გირვანქა წმ. სამთელი,—ღირებული სულ ას.ხუთ მანეთად და ორ აბაზად. ზასაკვირველია ისეთის მაგარის კარის და ბოქლომის გატეხა, როგორიც ალავერდის ეკლესიასა ჰქონდა. ძარები მთლად რკინის არის, ბოქლომი სიმძიმით ერთი ფუთია. ავაზაკებს რკინის კეტებით (ლომებით) გაუტეხია ბოქლომი ეკლესიისა. პოლიციური გამოძიებით ჯერ დამნაშავენი არ არიან აღმოჩენილი. თუმცა ამ ეკლესიას ქონდა ოთხმოც მანეთამდი ფული, მაგრამ ეს ფული გადურჩა მტაცებლობას.

\* \*

სწორეთ გაჭირებული საქმე აქვსთ მოსწავლეებს ზოგიერთი სახელმძღვანელო წიგნების ყიდვით. ავილოთ მაკალითად «დედა ენა» და «ბუნების კარი» ბ.ნი ი. ბოგებაშვილისა. მს სახელმძღვანელოები ამ მოკლენაში მრავალ ჯელ გამოიცენ და პირველი გამოცემები შესამჩნევად შეეკვლილ და შესწორებულ იქმნენ. მაგრამ ამ ბოლოს დროს ძლიერ მოუწმირეს გამომცემლებმა ამ წიგნების ახალ-ახალი გამოცემები, თუმცა არცერთს ბოლო გამოცემებს ამ კეთილი მიზნის ბეჭედი არ ასვია. ღალოცვილებო,—შედით ჩვენი ღარიბი შეგირდების მღვამარეობაში, სანამ ბრძანდეთ, ძველი სახელმძღვანელოები ვანდვენეთ ხმარებიდგან და ახალი გამოცემები აყიდვინეთ შეგირდებსო,—თითქო ახალ გამოცემებში მართლა ახალი ბევრი რამე იყოს!

# საეჭვო კითხვების განმარტება.

I. ჩვენ მივიღეთ მოწამეთის მონასტრის მახლობელი ერთი მღვდლისაგან შემდეგი წერილი:

«მონასტრებში ხშირად ნათელჯნ ბავშვებს ბერები, სხვა მიზეზით ხოლოცა მშობლებს და მიუჩქმელებათაც თუ თან ბერები სდგებიან». შემდეგ გეწერენ წერილს, რომ ესა-და-ეს მოენათლეთ და ჩასწერეთ მეტრიკაშიო. როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში?»

მკვლესიური კანონით მღვდელ-მონაზონს აღკრძალული აქვს მიმრქმელად ყოფნა. მაშასადამე თუ ღლეს მართლა ჩვენ მონასტრებში ბერები მიმრქმელად სდგებიან და ნათელჯნ ბავშვებს,—ეს უნდა ჩაითვალოს კანონის დარღვევად და დაუყოვნებლივ მოისპოს ესრეთი უკანონო მოქმედება. თუ მართლა მონასტრის მახლობლად მოსახლე ხალხს ჩვეულებად აქვს შეიღების მონათელა მაინცა-და-მაინც მონასტერში, ამ შემთხვევაში მღვდელ-მონაზონთ უნდა მოსთხოვონ მშობელთ, რომ მათ თან მოიყვანონ მოსანათლავ შეილთან ადგილობრივი მღვდელიც და მიმრქმელიც; ბერ-მონაზონებს კი თავის მხრით შეუძლიათ, საიღამაც ჯერ არს, გამოითხოვონ მეტრიკის წიგნები და ჩასწერონ მათში საჭირო ცნობები მონათლულებზედ წესისამებრ, თუ ამის ნებას მისცემს კანონი.

II. შეიძლება თუ არა, რომ არქიმანდრიტები და წინამძღვრები წარდგინდენ ჯილდოებსე მეორე წესსე დღედაც მათის აღყვანისა არქიმანდრიტობის და წინამძღვრის საჩისსზე?

III. შეიძლება თუ არა, რომ მღვდელი წარდგინდეს სეუფიაზე სამი წლის შესრულებამდე დღედაც სამღვდელ-ენქქას მიღებისა?

VI. ერთი ეპარქიადამ წამდენი პირის წარდგენა შეიძლება ჯილდოზე და როგორ უნდა წარდგინდენ?

ბი კითხვები, რომელთა განმარტებას გეთხოვენ ჩვენ ზოგიერთი პირები. დაწვლილებით განმარტებას ამ კითხვების შესახებ ჩვენ დაუბეჭდათ შემდეგ ნომერში.

მიიღება ხელის-მოწერა 1889 წლისათვის ორ-პირაულ გამოცემათა კართულს

## „მ წ ყ ე მ ს ზ ე ლ“

და რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

### ფ ა ს ი გ ა ზ ე თ ი ს ა :

12 თვით «მ წ ყ ე მ ს ი» 5 მ. | 6 თვით «მ წ ყ ე მ ს ი» 3 მ.  
— ,, ორივე გამოცემა » — ,, ორივე გამოცემა 4 »  
— ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ.

რედაქცია იმყოფება ქ. თბილისში საღვთის ქუჩაზე, მარკაროვის სახლებში.

რედაქციას აქვს კანტორები: ქ. მუთაისში ხანანაშვილების სახლებში და დ. შვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც რედაქციაში, ისე კანტორებში.

ბარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით; Въ Квирилу, въ контору редакціи „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

შ ი ნ ა ა რ ს ი: რედაქციისაგან.—მღვდლის სამსახურისადმი მოწოდებაზე.—ხარკოვის ახლო 17 ოქტომბრის უბედურება.—ახალი ამბები და შენიშვნები.—საეჭვო კითხვების განმარტება.—განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. დამბაშიძე. Дов. цензурою Кутаись, 14 Ноября 1888 г.

საკუთარი მსწავლელ-მეჭვლავი რედაქციისა.